ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:№48. 48252818

თარიღი:08/10/2025

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" 2025 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 17 იანვრის №№48.482501719 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.გ" ქვეპუნქტის, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი"-ს (სკ 421274506) წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 12 დეკემბრის №48,482334620 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-9 პუნქტის და ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი"-ს მმართველის 2025 წლის 7 ოქტომბრის № 36/21 წერილის შესაბამისად.

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 17 იანვრის №№48.482501719 ბრძანებაში და ამ ბრძანებით დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა ჩამოყალიბდეს დანართი №1-ის შესაბამისად.
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი"-ს მმართველს (რ.მესხი).
3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გია კვასტიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი